№ 175. 22 აგვისტო, შაბათი. 1866—1881 22 აგვისტო, შაბათი. № 175

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ. თ. მუხრანსკის სახლებ-ში ქლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების"-„ივერიის" რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ჭყონიას-თან ხოლოზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверія".

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილად ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილადნაბეჭდი ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების"-„ივერიის" აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.

სავაჭრო სახლი
„ძმათა კ. და ს. პაპოვებისა"
მოსკოვში
კანტორა იმყოფება კუზნეცის ხიდეზედ, კ. ს. პაპოვის სახლებში.

პატივი გვაქვს ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ჩვენი ფირმის ჩაის სავაჭროთ, გავმართეთ საკუთარი მაღაზიები ქვემო-მოყვანილ ქალაქებში:

ხარკოვში—პენგროვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში.
თბილისში—გალავინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში.
სებასტოპოლში—ბოლშაია მარსკაიას ქუჩაზე, ვაჭრის კოგენის სახლში.

როგორც ამ მაღაზიებში, აგრეთვე პეტერბურღში, ვარშავაში და კიევში ჩვენ მაღაზიებში, ჩაი აწონილია გირვანქებათ, ნახევარ და მეოთხედ გირვანქებათ და გაიგზავნება ყოველგან უმთავრესი მაღაზიიდამ, რომელიც იმყოფება მოსკოვში კრასნოსელსკის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. (30—10)

## ტელეგრამმა

—

(„საღხთაშორისო ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღის ბირჟა**, 20 აგვისტოს.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 96—25 |
| მეორესი— — — — | 94— „ |
| მესამესი — — — — | 94—75 |
| მეოთხესი — — — | 94— „ |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 91—25 |
| აღმოსავლეთის მეორე | 91—12 |
| აღმოსავლეთის მესამე | 91—12 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 7—68 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 229—50 |
| მეორე სესხის — — — | 226— „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—81 | პენსი |
| ბერლინი — — | „ — „ | პფენიგი |
| ჰამბურღი — — | 205—50 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 272—25 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## ქუთაისის სასულიერო სემინარია

თბილისი, 21 აგვისტოს.

ხვალ, ე. ი. 23 აგვისტოს, გაიხსნება ქუთაისში იმერეთის ეპარხიის სამღვდელოთა კრება. პირველი და უმთავრესი საგანი, რომელზედაც ამ კრებამ უნდა მოილაპარაკოს, არის საკუთარის სასულიერო სემინარიის გახსნა ქუთაისში.

წელს პირველად არ არის, რომ ამ საგანზე აქვს სჯა ქუთაისის ეპარხიის სამღვდელოებას; რამდენჯერმე ადრეც ჰქონდა და, როგორც გვახსოვს, ხსენებული სამღვდელოება ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ კარგი იქნებაო საკუთარი სემინარია დავაარსოთო; როგორც კი იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა პირველად წარმოსთქვა ეს აზრი ქუთაისში სემინარიის დაარსებისა, რამდენსამე უმეცარ და კერძო ინტერესების მიმდევარ მღვდელს გარდა, სულ-ყველამ ალტაცებით მიიღო, მთელი სამღვდელოება დათანხმდა.

კარგათ ვიცნობთ ჩვენ იმერეთის სამღვდელოებას და ძალიან გაგვიკვირდებოდა, ეს სამღვდელოება რომ სემინარიის გახსნის წინააღმდეგი ყოფილიყო.

მართლაც, ქუთაისის გუბერნიაში ათში ორს შვილის-მამას ვერ შეხვდებით, რომელიც არ სჩიოდეს და არ სტიროდეს იმაზე, რომ შვილი უსწავლელი მირჩება, ვერსად ვერ მივაბარე, ყველგან უარს მეუბნებიან, ადგილი აღარ გვაქვსო, სავსეა სასწავლებელიო და სხვ.

სამღვდელოება კიდევ უარესს მდგომარეობაშია: იმას თავის შვილებისათვის (და მოგეხსენებათ, რომ შვილების სიმრავლით ჩვენი სამღვდელოება ღვთისაგან დალოცვილია) თითქმის მხოლოთ ერთად-ერთი სასწავლებელი აქვს: ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, რომელიც შვიდასზე მეტს შაგირდსა ზრდის და რომელიც ისე გატენილია შაგირდებით, რომ ნემსის ყურწიც კი ვერსად ჩაეტევა. ასში ერთს მღვდელს-მამას ეღირსება ის ბედნიერება, რომ ამ ქუთაისის სასწავლებელში კურს-შესრულებული შვილი თფილისის სემინარიაში გამოგზავნოს სწავლის გასაგრძელებლად; მაგრამ აქაც იმას სიკეთე არ მოელის: ხშირად, ძალიან ხშირად ნორჩი აგებულება იმერლის ყმაწვილისა ვერ უძლებს თფილისის ჰავას, განსხვავებულ ბუნებას, ურიგო ჭამა-სმას, ყველა ამის წყალობით ხდება ავათ და კვდება.

ყველა ეს კარგათ ესმის ქუთაისის გუბერნიის სამღვდელოებას, ყველა ამას კარგათა გრძნობს და ამიტომ, ვიმეორებთ, გასაკვირველი იქნებოდა, ამ სამღვდელოებას რომ სემინარიის გახსნაზე უარი ეთქვა.

მაგრამ ამ აზრის განხორციელებას დღემდინ ერთი რამ აბრკოლებდა, რომელიც თითქმის ყველა ჩვენ საქმეებს აბრკოლებს ხოლმე: ღონისძიების ნაკლებობა, ფულის, საშუალობის უქონლობა. საზოგადოთ დასავლეთ საქართველოს სამღვდელოება ერთობ ღარიბი სამღვდელოებაა და ეშინოდათ, ვერ აუვალთ ამდენ ხარჯსაო, სასულიერო სასწავლებელსაც და სემინარიასაც ორივეს ერთად ვერ შევინახავთ ჩვენის ხარჯითაო.

დღემდინ ამ დაბრკოლებასა და შიშს ჰქონდა საფუძველი; მაგრამ დღეს კი, როდესაც ქუთაისის გუბერნიის სამღვდელოებას ჯამაგირი გაუწესდა, ეს დაბრკოლება, ეს შიში აღარ უნდა არსებობდეს.

მოვილაპარაკოთ ცოტა ამ ფულის, საშუალების თაობაზედ, რადგან ეს ყველაზე უმძიმესი და პირველი საგანია, რომელზედაც სამღვდელოთა კრებამ, უწმინდესის სინოდის წინადადებით, უნდა მოილაპარაკოს:

ამ ჟამად სემინარიის გასახსნელად იმერეთის სამღვდელოებას შემდეგი წყაროები აქვს:

ა) ოც-და-ათ ათასამდინ მანეთი საკუთრივ ამ საგნისათვის მოგროვილი ამ უკანასკნელ ხუთი-ექვსი წლის განმავალობაში;

ბ) თუ არ ვსცდებით, ხუთმეტ ათას მანეთზე მეტი, რომელიც ქუთ. სასულიერო სასწავლებლის ხარჯს გადარჩენია და რომელიც სემინარიისათვის შეიძლება მოიხმაროს სამღვდელოებამ;

გ) მუქთი ადგილი სასულიერო სასწავლებლის მახლობლად, საცა ადრე არტილლერიის მაღაზია იყო;

---

## «დროების» ფელტონი, 22 აგვისტ.

### ზედ-სიძე.

მოთხრობა რაფფისა

(სომხურიდამ ნათარგმნი)

(გაგრძელება.*)

III

კვირა დღე იყო. მზის სხივები მხიარულ ღიმილით ეთამაშებოდნენ შუშანაანთ სახლის დამტვრეულ მინებს. დილის ნიავი, ზეფირი, ჰფენდა ნაზ და საამო სიგრილეს. სადღესასწაულო ტანთ-საცმელით მორთული ახალგაზდა ქალები იდგნენ თავიანთ კარების შესავალში, მალვით უცქეროდნენ ქუჩის გამვლელ-გამომვლელებს და როცა ყმაწვილ-კაცს დაინახავდნენ, იცინოდნენ და თან იმალებოდნენ. ზოგნი ჯერ არ მოშორებოდნენ სარკეს და ირთვებოდნენ; ზოგნი კი შეკრებილიყვნენ თავიანთ ბანებზედ ან ვიწრო ეზოებში, უკრავდნენ დაირას, დიპლიპიტოს და ტაშს და ჯერ-ჯერითა თამაშობდნენ დიდიცა და პატარაც. ყველგან სუფევდა სიმხიარულე, მოისმოდა სიცილი და ხუმრობა. მხოლოთ ნატო იჯდა თავის პატარა ოთახში მარტოთ, ჩუმათ და იმისი ლალონებული, სევდიანი პირის სახე სიმხიარულეს არ ხატავდა.

ამ დროს შემოვიდა წირვიდგან დაბრუნებული შუშანა, რომელმაც ქალს მისცა სეფის-კვერი და უთხრა:

— ვა, ქალო! ჯერ ტანისამოსი არ ჩაგიცვამს?!

— ეჰ!... რისთვის ჩავიცვა? სახის დაღრეჯით მიუგო ქალმა.

— შენ კიდევ გიტირნია, თვალები დაგწითლებია?

— არა, არ მიტირნია... თავი მტკივა.

— როგორ არა, რომ ეხლაც თვალებში ცრემლები გაქვს, რას მატყუებ!?

— არ ვიცი... ნაღვლიანათ უპასუხა ქალმა.

— ვიდენ ოფოფები მოგივიდნენ?

ნატომ არაფერი პასუხი არა მისცარა და ოთახიდგან გარეთ გასვლა დააპირა.

— მოდი ჩადრი აიღე! დაუძახა იმას დედამ.

ნატომ აიღო ჩადრი, დაკეცა და თავის ალაგას ლადვა; მერე შეუდგა დედისათვის ჩაის გაკეთებას. შუშანა იჯდა პატარა ტახტზედ, ფანჯრის პირ-და-პირ.

— ჯუმშუტ-ბეკი დღეს არ მოსულა? ჰკითხა დედამ.

ასე ეძახოდნენ ისისი ყარაბაღელ სასიძოს. ნატომ პირ-და-პირ პასუხის მაგიერ თითონაც დედასა ჰკითხა:

— დედი! ნეტავ რა უნდა გამოვიდეს, რომ ის ყმაწვილი ჩვენსა დაიარება?

— მომიკვდა შენი ტუტუცი თავი! მითომ და შენ მოხარული არ ხარ, რომ ის აქ დაიარება!

— რა მაქვს სახარო: მეზობლები, რა ვთქო, რო ჩემზედ არ ამბობდნენ; ყველას პირის კვეი მე გავმხდარვარ.

— თვალები იმათამც დაუდგათ! გაჯავრებით უპასუხა შუშანამ.

ამ დროს სახლში შემოვიდა უსტა გრიქულა, რომელიც მაშინვე გაერია მათ მუსაიფში.

---

*) იხ. „დროება" № 174.

დ) აქვე მუქთი ქვა იმდენი, რამდენიც თითქმის საკმაო იქნება სემინარიის შენობის ასაგებად; ეს სულ ფულია...

ე) სანთლის შემოსავალი, რომელიც წელიწადში ოთხ-ხუთი ათას მანეთამდინ შეადგენს და რომელიც დღემდინ იმერეთის სამღვდელოების განკარგულებაში არ იყო; რადგან ყველგან რუსეთში და კავკასიაშიაც ამ სანთლის შემოსავალს თვითონ სამღვდელოება განაგებს, ქუთაისის გუბერნიის სამღვდელოებასაც შეუძლია ითხოვოს ეს უფლება და, უეჭველია, რომ უარს ვერ ეტყვის უმაღლესი სასულიერო მთავრობა;

ვ) ახლად-გამოსულ ჯამაგირიდამ დახმარება; იმერეთის სამღვდელოებას, თუ არ ვსცდებით, წელიწადში ას-ათი ათასი მანეთი აქვს ჯამაგირებათ დანიშნული, თითოს არა-ნაკლებ ასორმოცდა-ათი მანეთისა და არა-მომეტებული ორასისა; პირველ წელიწადს ამ ჯამაგირიდამ ნახევარი მიეცემათ; მეორეს სამი-მეოთხედი და მესამეს-კი სრული; პირველი ორი ან ბევრი-ბევრი სამი წლის განმავალობაში რომ სამღვდელოებამ თავის ნახევარი ჯამაგირი შესწიროს ამ საყოველთაო, კეთილ საქმეს, სრულებით საკმაო იქნება სემინარიის შენობის ასაგებად.

და ყველა ამას გარდა, ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მარტო იმერეთის სამღვდელოებაზე კი არ უნდა მივარდეს ეს საქმე; უეჭველია, რომ სემინარიის დაარსება ისეთსავე სიკეთეს მოუტანს გურიას, სამეგრელოს, აბხაზეთ-სამურზაყანოს სამღვდელოებასაც, როგორც საკუთრივ იმერეთისაც და ამიტომ ამ საქმეში ისინიც მიიღებენ მხურვალე ნივთიერ მონაწილეობას.

თუ არც ყველა ეს საშუალება ეყოფა სამღვდელოებას საქმის დასაწყებად, ამ შემთხვევაში იმას კიდევ ერთი წყარო დარჩენია: სინოდის საშუალებით შეუძლია ისესხოს ფული საეკკლესიო ხაზინიდამ იმ პირობით, რომ მერე მუდამ წელიწადს იხადოს წვრილ-წვრილად, ათის, ოცის წლის განმავლობაში.

ამ ნაირად, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ღონის-ძიების, ფულის მხრით ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსებას თითქმის არავითარი დაბრკოლება არ მოელის; არ მოელის განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იმერეთს ძმურად გაუწვდენს ხელსა და დაეხმარება სამეგრელო, გურია და სხვა მხარეები დასავლეთ საქართველოისა.

ეს საქმე დიდი, მძიმე მნიშვნელობიანი საქმეა. ქუთაისში სემინარიის დაარსებას დიდი გავლენა და ზედმოქმედება ექნება თვითონ იქაურ სამღვდელოებაზე, იმათ კეთილ-დღეობაზე და შთამომავლობაზე; დიდი გავლენა ექნება ამ სამღვდელოებათ ზნეობით და ეკონომიურათ წარმატებაზე და აქედამ, თვით ხალხის წარმატებაზედაც. მაგრამ ყველა ამის დაწვრილებით ახსნა და განმარტება ქუთაისის გუბ. სამღვდელოებისათვის საჭირო არ არის,—ისეც კარგათ ესმისთ.

და ამიტომ სრული იმედი გვაქვს, რომ ყველა, ვინც თავის თავის მტერი არ არის, ვისაც თავის საკუთარი და საზოგადო სარგებლობა ესმის, ყველა რითაც შეიძლებს და მოახერხებს, ხელს მოუმართავს და დაეხმარება ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაუყოვნებლივ დაარსებას. Ⴃ

## ახალი ამბები.

ქალაქში ყალბი თითო თუმნიანი ბილეთები აღმოჩნდა. პოლიციას ხუთი ამისთანა ყალბი ბილეთი ჩაუვარდა ხელში და საქმე გამომძიებელსა აქვს მინდობილი სიფრთხილე.

* * *

სწორეთ უბედურ ვარსკვლავზე დაიწყო თავის სახლის შენება ბ. ი. მარქაროვმა სოლოლაკზე ბარისა და ვილიამინოვის ქუჩების კუთხეზე! ჯერ იყო თვითონ დასჭრეს, კინაღამ კინთები მიაჭრა ვილამაც ზედ ამ სახლის წინ; მერე მუშა-თათრებს მოუვიდათ ჩხუბი და სისხლი ადინეს ერთმანეთს; შემდეგ ეზოში, სარაიაში, ბურბუშელა მოგროვილი ჰქონდა, სამი ყმაწვილი და ერთი ღარიბი მოხუცი ასულიყვნენ ჩამოსატანად; ამ დროს ეს სარაია ჩამოიქცა და ყველა ქვეშ მოიტანა, ყმაწვილები როგორც იყო გადარჩნენ, მაგრამ საწყალს მოხუცს კი ფეხები მოემტვრა, რომელიც ჯერაც არ მორჩენია თურმე.

ახლა კიდევ, გუშინ 20 აგვისტოს, ამავე შენობასთან მუშები სთხრიდნენ თხრილს, ამ დროს ჩამოწვა მიწა, რომელმაც სამი კაცი ქვეშ მოიყოლა. ოთხ საათს შემდეგ ამ თხრილიდამ სამი მუშა ამოიღეს, სამივე მკვდარი.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ აქაურ რუსულ თეატრის ანტრეპრიონერს ბ. პალმს განზრახვა აქვსო, რომ ქართულ ტრუპპასთან დაიჭიროს საქმე და, როგორც ანტრეპრიონერი ისე შეეკრას პირობით ამ ტრუპპის თითოეულ წევრებსაო. ამბობენ, ამ საგანზე ბ. პალმს (მამას) ზოგიერთ ქართველ აქტიორებთან აქვს ამ ჟამად მოლაპარაკებაო.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ მშვენიერ პოემის „იმედის" ავტორს თ. ვ. ო—ნს ახალი ისტორიული პოემა დაუწერია.

* * *

ტფილისის ტელეგრაფის სტანციას უჩივიან: თავის დროზე დეპეშები არ მოდისო; დეპეში პატრონის ძებნისათვის თავს არ იწუხებენო, „კავკაზში" გამოვაცხადებთ და იქიდამ გაიგონო—ასე ამბობენო და სხვ.

პირველი არ არის და, იმედია, არც უკანასკნელი იქნება, ამ გვარი საჩივარი ჩვენს ტელეგრაფის სტანციაზე; მაგრამ ყურს ვინ იბერტყს! აქაც, როგორც სხვა ბევრი უწყების ჩინოვნიკები, იმ აზრის არიან, რომ საზოგადოება იმათთვის არის გაჩენილი და არა ისინი არიან [illegible] სამსახურისათვის დანიშნულნი.

## „დროების" კორრესპონდენციები

ს. კულაში, 17 აგვისტოს. ჩვენს სოფელში შეიკრიბა რამოდენიმე სცენის მოყვარე, რომელთაც რამდენიმეჯერ ქართული წარმოდგენა გამართეს აქაურ ნორმალურ სასწავლებლის სასარგებლოდ.

ამ სცენის მოყვარეთ განიზრახეს აგვისტოს წასულიყვნენ ძველს-სენაკს და წარმოდგენა გაემართათ, რადგან იმ დღეს ძველ-სენაკში ყოველ წელიწადს იციან იარმუკობა და დიდძალი ხალხი შეიკრიბება ხოლმე.

წინათვე გაგზავნეს კაცები, რომ იქ მოემზადებინათ სახლი და სხვა საჭირო მასალები. ეს გაგზავნილი კაცები პირველად გამოეცხადნენ ძველი-სენაკის სასოფლის სკოლის მზრუნველს ბლალოჩინ ქავთარაძეს და ადგილობ მამასახლის, რომლებმაც მიიღეს დიდის სიამოვნებით და ყოველივე საქმეში აღმოუჩინეს შემწეობა.

6-ს სცენის მოყვარენიც მოვიდენ.

როდესაც სკოლის სახლებში მუშები ამზადებდენ სცენას, ამ დროს, უეცრად, მობრძანდა პოლიციის პრისტავი ბ. ახვლედიანი და ძლიერ გაჯავრებული ბრძანა: „ეგ რა ანბავია! ვინ დაბედა ეს!... ეხლავ ციმბირში გაგზავნი მამასახლისსო!" და სხვა ეგეთი მრისხანე სიტყვები სეტყვასავით მოსცვივოდა პირიდამ.

მამასახლისი თამამად წადგა წინ და მოახსენა: მე ისეთი საქმე არა ჩამიდენია-რა, რომ ციმბირის ღირსი ვიყო და თუ სხვა რასმეზედ მიჯავრდებით, მიბრძანეთო. ბ. პრისტავმა ბევრი იყვირა, მაგრამ როდესაც მიართვეს მაზრის უფროსისაგან მოწერილობა, რომლითაც ებრძანებდა მამასახლისს, წარმოდგენაზედ დაგვეწყრობოდა და დაეცო წესიერება, მაშინ კი ყურები ძირს დაუშვა და სხვა ხრიკებს მიჰყო ხელი: შეაგროვა იქა-

---

— ძალიან კარგათ ამბობ, დედაკაცო! ახარ, საქმე საქმეს აღარა ჰგავსდა!.... მ მეზობლებს რა საქმე აქვთ, რომ გვძრახავენ!?

შუშანამ უფრო მომეტებული გაბრაზებით ქმარს ჩააწყვეტინა ხმა:

— ეჰეი! ეს შენი ჭკუის საქმე არ არის! ძლივს ერთი ჩიტი მახეში გავაბი და ეხლა შენ გინდა გააფრინო!

— შენ, დედი, როგორაცა ეხედავ, გინდა ყელი გამომჭრა, მიუგო ნატომ ცრემლების წმენდით.

ქალმა პასუხს აღარ მოუცადა და გარეთ გავიდა.

— მე და ჩემმა სულმა ნატო მართალს ამბობს, სთქვა უსტა ბრიქულამ ქალის გარეთ გასვლის შემდეგ: ჯერ ის ვაჟი არ დაგვინიშნავს და როგორ შეიძლება, იმისი სახლში შემოშვება, განა ქალაქის ხალხის ნამუსი სრულებით წასულა?

— კარგს ამბობ, ბრიქულ, მეც ვიცი, რომ ასეა; მაგრამ ღმერთმან დასწყევლოს ეხლანდელი ადათა!.. რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე!.. ქალი მოსწრებულია, მალე თვრამეტის წელი შეუსრულდება; ეხლა გათხოვების დრო აქვს; ჩვენ საწყლები ვართ: შენ შენის ხელკროთი ძლივს შეგიძლიან დღე-დღეზედ ჩვენ პური გვაჭამო, და მეც, ხომ მხედავ, როგორ ტანჯვაშია ვარ. სახლის ქირაც ჯერ ამ თვისაც ვერ შევიძელ მიმეცა და სახლის პატრონი კი ყოველ დღე ფულის თხოვნით ილაჯს მიწყვეტავს. აბა, მოდი ქრთამი და მზითევი შენ მოიტანე და ეგ ქალი თავის ნებაზედ მაშინ გაათხოვე. მაგრამ საიდგან უნდა მოიტანო! ხომ იცი, ამ ჩვენ ქალაქში უქრთამოთ და უმზითვოთ ქალს არავინ თხოულობს... ღმერთმა დასწყევლოს ასეთი ადათი! ახლა ძლივს ერთი ხამი ვინმე მიპოვნია, ბეჩავია, აქაური ადათებისა არა შეუტყვია-რა; ამბობს, ნატო მიყვარს და მე იმას უფულოთაც შევირთავო. ეხლა მითხარ შეიძლება, რომ ჩვენ ამისთანა ვაჟი ხელიდგან გაუშვათ...

— მაგას სულ სწორეთ ამბობ, შუშან, მარა შენ ისა სთქვი, თუ იმან ცოლი როგორ უნდა შეინახოს?

— რას ამბობს—ე!? მა, ახარ, ფულიანი კაცი სად არის? საცაა მამა მოუკვდება და მისი დოვლათი სულ მაგას დარჩება!

— ვაი, თუ ჩქარა არ მოკვდა?

— არ მოკვდა და მაშინ შევინახოთ: ზედ-სიძეთ შემოვიყვანოთ.

— ასრე-კი კარგია? დაცინვით ჰკითხა ქმარმა.

— შენ ფიქრი ნუ გაქვს. თუ რომ ცუდი იქნეს, მე ვარდამახდევინე—სხვა რაღა გინდა! უთხრა ცოლმა.

— მე დაუნიშნავს ჩემა სახლში ვერ შემოუშვებ.

— ახარ, ჩემი სურვილიც ეგ არის არ მაცლი, რომ საქმე თავს მოვიყვანო!

— აი მაშ: მე მაგ საქმეში ხელები დამიბანია. დედა-კაცების საქმეში გარევის თავი არა მაქვს! სთქვა უსტა ბრიქულამ და გარეთ გავიდა.

## IV

სახლიდგან გამოსული ნატო დაჯდა ეზოში, ლობის ძირას, ერთ ფიცარზედ და ღრმა და ხანგრძლივ ფიქრში შევიდა. ცოტა ხანს შემდეგ მოვიდა მეზობლის ქეთოს ქალი ნინუცა.

— რას მომცემ, ეხლავ გამოვიცნა, შენ ვიზედ ჰფიქრობდი? სიცილით

ური დეპუტატები და სხვა გავლენიანი პირნი და უთხრა იმათ ერჩიათ სცენის მოყვარეებისათვის, რომ წარმოდგენა რამოდენიმე დღე გადაედვათ, რადგან იარმუკა იყო ახალი დაწყებული და ხალხი ცოტა იყო, ვითომ თუ დიდი შემოსავალი არ ექნებოდა სცენის მოყვარეებს, ძლიერ სირცხვილი იქნებოდა საზოგადოებისათვის.

დეპუტატებმა და სხვებმაც ეს პრისტავის აზრი გარდასცა სცენის მოყვარეებს და ისენიც დათანხმდნენ და წარმოდგენა გარდადვეს 9 აგვისტოისათვის.

9-ს აგვისტოს სცენის მოყვარენი შეუდგნენ მზადებას და ბ. პრისტავსაც აცნობეს. სალამოს ჟამმაც მოაწია, ბილეთების ყიდვა დაიწყეს და შემოდიოდა საზოგადოება თეატრის ზალაში; ცხრა-თუმნის ბილეთები იყო გაყიდული. ამ დროს დაეჯახა კარებს რამოდენიმე მთვრალი კაცი და უბილეთოთ შემოვიდნენ თეატრში; როგორც ეს დაინახა უბრალო ხალხმა დ:ეტაკენ კარებს და გაიმსო ზალა უბილეთო ხალხით. ჯერ მოთამაშენი არ იყვნენ მზათ ეთამაშნათ. ვეძებეთ ბ. პრისტავი, გვეუბნებოდნენ აი ეხლა აქ იყოვო, მაგრამ სად გაქრა—ვერა გავიგეთ-რა. დამთვრალი ხალხი ჰყვიროდა:

თუმცა გამოუცხადეს სცენის მოყვარეებმა ბილეთების პატრონებს, რომ თავიანთი ფულები მიეღოთ და თავი დაენებებინათ, მაგრამ, ერთი რომ არც ბილეთების მყიდველები დათანხმდნენ და მეორე, იმ უბილეთო

— ითამაშეთ, ითამაშეთ! რაღას უყურებთ!

წაართვეს სხვებს თავიანთი ნომრები და თითონ არხეინად დაბრძანდნენ. ხალხისაც შეეშინოდა, რომ ცუდი რამე არ ჩაედინათ.

ბოლოს გამოჩნდა რამდენიმე მადლიანი, საპატიო კაცი, რომელთაც როგორც იყო დააშვიდეს ეს დამთვრალი და მშფოთავი ხალხი და მით სცენის მოყვარეებს მიეცათ ღონისძიება წარმოდგენის დაწყებისა.

სცენის მოყვარეთაგანი.

## წერილი რედაქტორთან.

—

იმედი მექნება, რომ „დროების“ რედაქცია მისცემს ამ ჩემ შენიშვნას ადგილს.

შარშან ქ. გორში შესდგა მოყვარულთა წრე, რომელმაც რამდენჯერმე წარმოდგენა გამართა კეთილის მიზნით. ხალხში კანტი-კუნტად მოჰკრამს კაცი ყურს, რომ ფულები იჭმებაო, კეთილ-მიზნისთვის არ იხარჯებაო. ეს აზრი უფრო ცხადათ გამოსთქვეს ს. მეჯვრისხევში, სადაც ორჯელ იყო მოყვარულთ წრისაგან წარმოდგენა.

რომ მოყვარულთა წრის წარმოდგენებიდამ შემოსული ფული თავის მიზნებს მოხმარდა: რომ ერთი გროში, ერთ ფარაც არ მისულა არა ვისიმე მოყვარულის ჯიბეში, ამას ამტკიცებს შემდეგი ანგარიში:

1) შარშან, 1880 წ., ზაფხულში ორ-ჯელ წარმოსდგა წრისაგან ბ. მ. ქართველიშვილისთვის; შემოსული ფული მიეცა მას იმ პირობით, რომ ის წასულიყო რუსეთს სწავლის გასაგრძელებლად, რომელიც წელს, ამ აგვისტოში, წავიდა კიდეც;

2) შარშანვე, შემოდგომაზე წარმოვადგინეთ ბ. გ. ყიფშიძისთვის, რომელიც პეტერბურღს წავიდა; თვეში ორ თუმანთს უგზავნიდა წრე; სულ გაუგზავნა თორმეტი თუმანი; კვიტანციები, ვისაც სურს, მოიკითხოს ბ. მ. ყერესელიძესთან, რომელსაც ჰქონდა ჩაბარებული ფული, ან ჰკითხოს ფულების მიმღებს;

3) შარშან შემოდგომაზევე წრემ გამართა წარმოდგენა ბ. ნ. ყასრაძის სასარგებლოდ; შემოვიდა ცხრა თუმანი, რომელიც მიეცა ყარსაძეს წელს 3 აგვისტოს, პეტერბურღში ნასწავლის დროს; კვიტანცია ამ ფულის მიღებისა აქვს ბ. ყ-ძეს.

4) წრეულ იმავე წრისგან იყო გამართული ორი წარმოდგენა 1 მე ვრისხევში. ერთი მე ვრისხევის სკოლის სასარგებლოდ, და მეორე ღარიბი მოწაფისათვის, გვარად შანავაძისათვის, რომელიც ალექსანდროვის ინსტიტუტში სწავლობს. პირველი წარმოდგენიდამ შემოვიდამ 31 მ. 42 კ. ხარჯ-გარდა; ეს ფული მოხმარდა სკოლას; იყიდეს ყმაწვილებისთვის შკაფი და კიდევ სხვა წვრილ-წვრილი რამეები. ამის გაგება ყველას შეუძლიან მეჯვრისხევის სკოლის მასწავლებელთან ბ. თ. ყანდელაკთან. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ როდესაც მე და ყანდელაკი წამოვედით მეჯვრისხევიდამ, ზოგიერთებს, რომელთაც ჭირად სჭირს ენის ქავილი, ებრძანებინათ, რომ „აი ფულის შესაჭმელად წავიდნენო;“ ათი თუმანი შემოვიდა—და სამი აჩვენესო. აბა, ბატონებო, საიდამ შემოვიდოდა როდესაც რომ პირველი რიგი-რვა სკამი მანეთიანი იყო, დანარჩენები სამ-აბაზიანი და აბაზიანი; სულ ადგილი ხუთ თუმან ნახევრისაა, თუ პირველი ორი რიგი მანეთ ნახევრიანი იქნება, სამი, ამის შემდეგ, მანეთიანი, სამიც ათ შაურიანი და დანარჩენი აბაზიანი.

მეორე წარმოდგენისთვის ამ გვარად იყო დაწყობილი სკამები და სულ შემოვიდა, როგორც წარმოდგენის შემდეგვე ვიანგარიშეთ 48 მ. 44 კ; დანახარჯი: 14 მ. და 98 კ. დარჩა: 34 მ. და 46 კ., რომელსაც წარმოუდგინეს, იმ პირობით, თუ ის დაიჭერს გადასასვლელს ეგზამენს პირველის კლასისას; თუ არა და ეს ფული სხვი საქმეს მოხმარდება.

ვისაც ყური აქვს სასმენლად, ისმინონ, და თუ ნებავთ, თვალითაც ნახონ, რომ დარწმუნდნენ, რომ ფული არ „იჭმევა“, არამედ ხმარდება კეთილ საქმეს.

მოყვარულთა წრის წევრი —
ს. ზ. მგალობლიშვილი.

21 აგვისტოს, ქ. გორი.

# უცხოეთი

საფრანგეთი. უკანასკნელ ამორჩევებზე გამბეტას ბევრი მეგობრები გააშავეს და ბევრი იმ კანდიდატთაგანი, რომელთა წინაალმდეგ იყო გამბეტას კამიტეტი, ამოირჩეული იქმნა. სხვათა შორის, გააშავეს უფროსი რედაქტორი გაზეთის *République Française*-ისა, იზამბერი, რომლის გულისათვის გამბეტა განგებ წავიდა შატოდენში. ამ გვარივე შემთხვევა მოხდა შარლვილში, სადაც გააშავეს გამბეტას მეორე რედაქტორი, სენარი. ლეონ რენო არ ამოირჩიეს ვერსალში, მინისტრის თანაშემწე, ჟირარი—ნიორში.

გამოჩენილი ბონაპარტიელები, რომელნიც არ იყვნენ ამორჩეულნი და დაჰკარგეს ადგილი პარლამენტში, არიან: აბატუჩი, ლანგლე, ვენტჟენსი, პადუას ჰერცოგი, მარშალი ნიელი; ლეგიტიმისტთაგანი—ჰერცოგი დ'არკური, ლაგრანჟი და კელლერი. გაზეთების სიტყვით, რესპუბლიკელების შეერთებული უმრავლესობა მაშვინ იქნება მომავალს პალატაში, თუ რესპუბლიკელების ყველა პარტიები შეუერთდებიან ერთმანეთს.

— კიდევ ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები პარიჟის ამორჩევებისა: პარიჟის ცამეტი კანდიდატი, რომელნიც იყვნენ ჩარიცხულნი, როგორც გამბეტას ისე კლემანსოს სიებში, ყველანი ამოირჩიეს. გამბეტას კანდიდატებმა აჯობეს კლემანსოს კანდიდატებს პარიჟის რვა ამორჩევით უბანში, ხოლო სამ უბანში კლემანსოს კანდიდატებმა გაიმარჯვეს.

საზოგადოთ რომ განვიხილოთ ამორჩევების შედეგი, ცხადათ დავინახავთ, რომ გამბეტის გამარჯვება

---

უთხრა ნინუცამ და მოუჯდა ნატოს გვერდით.

— ეჰ, ნინუცი! ნეტავი შენ, რომ დარდი არა გაქვს დი სიცილისთვისაც მოგიცლია.

— რატომ?

— ამიტომ რომ შენ ბიგოლას უყვარხარ...

— რავქნა, რო უყვარვარ! გულგრილათ მიუგო ნატომ.

— სხვა რა-ღა უნდა ჰქნა, სულელო! ქალი რომ ასეთ კარგ ვაჟს უყვარდეს, განა კიდევ დარდი-და ექნება?!

— მაშ არ ექნება?

— ი-ი-ჰ! მეხი კი დაგეცა, თითონაც არ გაგეგება რას ამბობ! უთხრა ნინუცამ ქოქოლას მიყრით.

ერთ წამის დაფიქრების შემდეგ ნატომ წამოიძახა:

— შენ ფული თქვი, ფული! შე უჭკუო, შენა; ეხლა სიყვარულს ვინღა ეძებს? ათასი რომ უყვარდეს ვაჟსა და ქალს ერთმანეთი, იმათ სიყვარულს ყურს ვინ უგდებს, თუ ქალს ფული არა აქვს!..

— აი დაიწყევლოს ასეთი ადათი!

ნატოს ფერ-მიხდილ სახეზედ ცხადათ გამოხატული იყო ათასი მწუხარება და დარდი.

— არა, შენ ეს მითხარ, ნატოჯან: ბიგოლაც ხომ ფულებს არ თხოულობს?

— ბიგოლას ვინ უყურებს, საქმე დედ-მამაა.

— თუ ქალ-ვაჟსა სურთ, დედ-მამას რაღა დავი აქვსთ?

— ფულის დავი აქვსთ, ვერ გაიგე?

ორ მეგობართა შუა ხელ-მეორეთ ჩამოვარდა სიჩუმე თვითეულ მათგანი ჰფიქრობდა თავის ბედზედ: ორნივ საპატარძლე ქალები იყვნენ და არც ერთს კი ფული არა ჰქონდათ.

— ნეტა იმ ყარაბაღელს რაღა უნდა? სთქვა ბოლოს ნინუცამ.

— იჰ! იმისი თავიმც დამიმარხნია! ერთ სხვა ნაირ ზიზღებით უპასუხა ნატომ.

— ვინ არის ის ვაჟი?

— რა ვიცი, ვინ არის! საიდამღაც გადმოვარდნილა...

— ამბობენ, ვითომ დედა-შენსა სურს, იმ ვაჟს მიგცეს?

— სურს.

— მერე შენ რაღას ამბობ?

— რა უნდა ვსთქვა?

— შეირთავ რაღა და ბიგოლას კი თავს დაანებებ?

— დაჩუმდი, ნინუცი, თუ ღმერთი გწამს, დარდებს ნუ გამიახლებ.

ნინუცამ ნატოს თვალებში ცრემლები შეამჩნია, დაჩუმდა და რამდენიმე მინუტის განმავლობაში ისინი დარდიანათ უყურებდნენ ერთმანერთს.

— კარგი, ნუ სტირი, ღმერთი მოწყალეა! ხელი დაუჭირა ნატოს ნინუცამ. ადექ, წავიდეთ საბედასთან, იქ კამპანია აქვსთ და ქალები ბლომათ არიან შეკრებილნი.

— ეჰ! რა კამპანიაში წასვლის გული მაქვს!? სთქვა ნატომ.

— ქალო, ხომ არ გაგიჟებულხარ: ამ კვირა დღეს არც ტანისამოსი გამოგიცვლია, არც თავი დაგიბანია—ვინ იცის, პირიც არ დაგიბანია!

ამ დროს სახლიდგან მოისმა შუშანას ხმა, რომელიც ეძახოდა ნატოს. ნატომ მაშინვე თავი გაანება თავის მეგობარს და გაიქცა დედისაკენ. „საწყალი ნატო“! სთქვა ნინუცამ და გასწია საბედას სახლში დროების გასატარებლათ.

(გაგრძელება)

პარიჟში სრულებით არ არის სასიქადულო. კლემანსოს გაზეთი, *Iustice* ამბობს: „პარიჟი გამოაშკარავდა; მონმარტრის ორს უბანში კლემანსომ მიიღო 10,000 ხმა წინაალმდეგ 3,500; გამბეტამ კი საჭირო უმრავლესობაც ვერ მიიღო; ის ამოირჩიეს მხოლოდ თეთრ ბიულეტენების შემწეობით, რომელნიც სათვალავში არც კი უნდა მიეღოთ.“

—

**ოსმალეთი.** რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მოუვიდა შემდეგი მოხსენება **სტამბოლელ რუსეთის** ელჩისაგან: უმთავრეს სახელმწიფოების ელჩებმა წინადადება მისცეს პორტას (ოსმალეთის მთავრობას), რომ სისრულეში მოეყვანა ბერლინის ტრაქტატის მე-61 მუხლი, რომლის ძალითაც ოსმალეთის მთავრობა ვალდებულია, რომ **სომხეთში** ახალი კანონები შემოიღოს და ახალი გამგეობა დააწესოს, რომ მით **სომხეთს** შეუმსუბუქდეს მდგომარეობა. ამ წინადადებაზე პასუხი მოგვცა, რომ სანამ მცირე აზიაში სრული მშვიდობიანობა არ დამყარდება და სანამ აჯანყებულ ქურთებს არ დაიმორჩილებ, მანამ რეფორმების, ახალი გამგეობის შემოღება **სომხეთში** შეუძლებელიაო. ვეცდებით კიო, რომ ერთიც და მეორეც რაც შეიძლება მალე მოვიყვანოთ სისრულეშიო.

# განცხადებანი

## ადვოკატი პეტრე ტროფიმისძე გარდიევსკი

ამით აცხადებს, რომ ის იღებს თავის-თავზე **სუდებში** დაცვას და წარმოებას **სამოქალაქო** და **სისხლის სამართლის საქმეებისას.**

ყოველი მონდობილება ქუთაის გარეთ მცხოვრებლებიდგან იქნება ასრულებული დაუყოვნებლივ.

მუდამი ბინა მექნება ქალაქ ქუთაისში, ბილახვანის ქუჩაზე, ნიკოლაიშვილის სახლში. (5—1)

---

გამოცდილ მასწავლებელსა სურს მიიღოს თავის ოჯახში ორი ემაწვილი წლოვანებით 8 12-დინ წმ. დავითის ქუჩა ნომერ 31 ზედა სართული, სამი საათიდგან შუა დღისა სადამომდინ. (3—2)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—6)

---

## ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის სხვაგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოდ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—30)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

---

ინგლისური რევოლვერ ჩი 4 მ.—40 მანეთამდის და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—94)

---

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

---

**ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში** (ალექსანდროვის ბაღთან, რუსის საყდრის გვერდით) ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველთ ტომის დასაწყისზე თხზ. დ. ბაქრაძისა ფასი 20 კ.

ლექსნი, თქმული ვ. ხ. ორბელიანისაგან, ფასი 15 კაპ.

დავითიანი, გურამიშვილის დავითისა, ფასი 1 მან.

პონტის მეფე მიდრატად დიდი დ. ბაქრაძისა, ფასი 10 კაპ.

სამშობლო, ანუ ლექსთა კრება მიხეილ აბულაძისა, ფასი 10 კაპ.

პოლემიკური საუბარი მღვდლისა მაჰმადიანთ მოლასთან, თხზ. მღვდ. სიმეონ ბეგიევისა, ფასი 70 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, книжный магазинъ Захарія Чичинадзе.** (5—4)

---

## ახლად მიღებულია

ინგლისის მაღაზიაში დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პარუსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—15)

---

## წიგნის მაღაზია

ი. მურადოვის

# ქუთაისში

ამით აცნობებს ბ.ბ. მასწავლებლებს, რომ მომავალი სამასწავლებლო წლისთვის ამ მაღაზიაში დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო წიგნები, მოსწავლეთათვის რვეულები, დახაზულები მოთხოვნილების-და-გვარად, ასი—5 მანეთად, ასპიდის დაფები დახაზულები და სადაც, სამასწავლებლო სათამაშოები და სხვა ყოველ გვარი სასწავლებლისთვის საჭირო ნივთები **ძრიელ იაფად.**

ყოველივე მოთხოვნილება ასრულდება დაუყოვნებლივ და რიგზედ. (3—3)

---

## გერარდის წიგნის მაღაზია

# ქუთაისს

ბულვარის პირ და პირ, სობოროს გვერდით

აცნობებს სასწავლებელთა პატივცემულთ უფროსებს, მასწავლებლებს და საზოგადოებას, რომ მან მიიღო **ყოველ გვარი** სასწავლო მასალები და სახელმძღვანელოები (რუსული და ქართული) **ყველა** სასწავლებელთათვის.

მაღაზიას აგრეთვე მოუვიდა **მრავალნაირი** საკითხავი წიგნები, უპირატესად ბელლეტრისტიკური და მრავალი **ნოტები.** ფასები ძალიან ხელ-მისაცემია. (3—3)

---

ინგლისური ინგბერ შამპანიის ღვინო! ფასი უჭურჭლოთ 25 კაპ. (ჭურჭელით 40 კაპ.), დიდი ბოთლია, **ინგლისის მაღაზიაში.** (10—5)

---

## ანგარიში

### რუისის გამსესხებელ შემნახველის ამხანაგობისა

ექვსი თვისა იანვრის პირველიდამ 1881 წლიდამ ივლისის პირველამდე რჩევისაგან შემოწმებული და დამტკიცებული.

იანვრის 1 იმყოფებოდა:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წილის ფული — — | 4403 | 27 |
| შესანახავათ შემოტანილი — — — — | 983 | 2 |
| ნასესხი — — — — | 4365 | „ |
| სათადარიგო თანხა — | 58 | 79 3/4 |
| წმინდა მოგება 1880 წ. | 670 | 5 |
| სულ — | 10480 | 13 3/4 |

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გაცემული ამხანაგობაში — — — — | 10013 | 50 |
| ნაღდად ფული ყუთში | 466 | 63 3/4 |
| სულ — | 10480 | 13 3/4 |

ივლისის 1-მდე:

შემოსავალი:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წილის ფული — — | 137 | 88 |
| სარგებელი გასესხებულისა — — — — | 233 | 30 |
| დაბრუნებული ნასესხი | 3087 | „ |
| ჯარიმა — — — — | 31 | 34 1/2 |
| შესანახავათ შემოტანილი — — — — | 80 | „ |
| ნასესხი — — — — | 2500 | „ |
| სათადარიგო თანხა — | 62 | 54 |
| სულ — | 6132 | 6 1/2 |

გასავალი:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წილის ფული დაბრუნებული — — — | 69 | 80 |
| წილის ფულზედ მოგება | 373 | 10 |
| სესხათ მიცემული — | 2800 | „ |
| დაბრუნებული სარ. ვადაზე წინათ გადახდილი | 7 | 83 |
| შესანახავათ შემოტანილი — — — — | 15 | „ |
| სარგებელი შესანახისა | „ | 40 |
| ნასესხი — — — — | 2500 | „ |
| სარგებელი ნასესხისა | 79 | 17 |
| სამართველოს ხარჯი | 11 | 21 |
| სხვა და სხვა ხარჯი — | 1 | 20 |
| ალებ მიცემებისა — | 72 | 54 |
| სულ — | 5930 | 25 |

ივლისის 1-ს იმყოფება:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წილის ფული — — | 4471 | 35 |
| შესანახავათ შემოტანილი — — — — | 1048 | 2 |
| ნასესხნი— — — — | 4365 | „ |
| სათადარიგო თანხა — | 121 | 34 3/4 |
| წმინდა მოგება — — | 389 | 24 1/2 |
| სულ — | 10394 | 95 1/4 |

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მიცემული სესხათ — | 9726 | 50 |
| ნაღდი ფული — — | 668 | 45 3/4 |
| სულ — | 10394 | 95 3/4 |

თავსმჯდომარე ნ. დისსამიძე.

წევრნი რჩევისა: დ. ეგნატაშვილი, დ. მამესწარაშვილი, ნ. მამაცოვი, ჩ. ჭავლელაშვილი.

წევრნი მართველნი: ი. კლიმიევი, ნიკოლოზ მძინაროვი, სარქის ჯინაშვილი.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Августа 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი